



შეფასებისა და გამოცდების  
ეროვნული ცენტრი

# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის მათემატიკა

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

**გაითვალისწინეთ:**

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



# საგნობრივი ცოდნა

1.  $m$  და  $n$  ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ  $m + 4n$  ლუწია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს კენტი?

ა)  $m + 2n$

ბ)  $m + mn$

გ)  $5m + 4n$

დ)  $4m + n$

2. სულ რამდენია ისეთი სამნიშნა რიცხვი, რომელიც 30-ის ან 40-ის ჯერადია?

- ა) 44
- ბ) 48
- გ) 50
- დ) 52

3.  $AD$  მონაკვეთზე მონიშნულია  $C$  წერტილი ისე, რომ  $|AC|:|CD| = 2:1$ , ხოლო  $AC$  მონაკვეთზე მონიშნულია  $B$  წერტილი ისე, რომ  $|AB|:|BC| = 3:2$ . რის ტოლია  $|AB|:|BD|$  ?

ა)  $\frac{1}{2}$ -ის;

ბ)  $\frac{2}{3}$ -ის;

გ)  $\frac{3}{5}$ -ის;

დ)  $\frac{4}{7}$ -ის.

4.  $a$  და  $n$  ნატურალური რიცხვებია.  $a$ -ს  $n$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი ტოლია 4-ის, ხოლო  $2a$ -ს  $n$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი ტოლია 3-ის. რის ტოლია  $n$  ?

ა) 5-ის;

ბ) 6-ის;

გ) 7-ის;

დ) 8-ის.

5. ყუთში 10 თეთრი, 10 წითელი და 10 მწვანე ფანქარია. მაქსიმუმ რამდენი ფანქარი შეიძლება ამოვიღოთ ყუთიდან მასში ჩაუხედავად, რომ ყუთში აუცილებლად დარჩეს სამივე ფერის ორ-ორი ფანქარი მაინც?

- ა) 6
- ბ) 8
- გ) 12
- დ) 22

6. მოცემულია მსჯელობა:

- ყველა წარმატებული სპორტსმენი ბევრს ვარჯიშობს.
- ყველა წარმატებული სპორტსმენი ჯანსაღად იკვებება.

მაშასადამე, თუ სპორტსმენი ბევრს ვარჯიშობს და ჯანსაღად იკვებება, მაშინ ის წარმატებულია.



ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

*A* – სპორტსმენების სიმრავლე;

*B* – იმ სპორტსმენების სიმრავლე, რომლებიც ბევრს ვარჯიშობენ;

*C* – იმ სპორტსმენების სიმრავლე, რომლებიც ჯანსაღად იკვებებიან;

*D* – წარმატებული სპორტსმენების სიმრავლე.



ამ დიაგრამებიდან რომელი აჩვენებს, რომ მოცემული მსჯელობა მართებული არ არის?

- ა) მხოლოდ I;      ბ) მხოლოდ II;      გ) ორივე;      დ) არც ერთი.



7.  $x$  და  $y$  ისეთი რიცხვებია, რომ  $x > 0$ ,  $y < 0$ . ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მართებული?

ა)  $x^2 < y^2$


ბ)  $\frac{x}{y} > 1$

გ)  $x - y < -1$

დ)  $x^2 y^3 > 0$

8. ABCD კვადრატის შიგნით მდებარე E წერტილი მონაკვეთებით შეერთებულია კვადრატის წვერობთან. AEB სამკუთხედი ტოლგვერდაა. რის ტოლია DEC კუთხის სიდიდე?

- ა)  $120^\circ$ -ის;
- ბ)  $130^\circ$ -ის;
- გ)  $140^\circ$ -ის;
- დ)  $150^\circ$ -ის.




## მონაცემთა ანალიზი

ამა თუ იმ ობიექტს ადამიანი მყისიერად ვერ აღიქვამს, მისი ამოცნობისთვის დროის გარკვეული ინტერვალია საჭირო. გამოითქვა ვარაუდი, რომ არსებობს კავშირი ინდივიდის მიერ ინტელექტის ტესტში მიღებულ შედეგსა და გამოსახულების ამოცნობისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობას შორის. ამ ვარაუდის შესამოწმებლად ინტელექტის ტესტში როგორც მაღალი შედეგების მქონე A პირს, ისე შედარებით დაბალი შედეგების მქონე B პირს, ამოსაცნობად წარუდგინეს მარტივი გამოსახულებები დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით. თითოეულ შემთხვევაში მიეწოდებოდათ 50 სხვადასხვა გამოსახულება. დიაგრამაზე მოცემულია დროის სხვადასხვა ხანგრძლივობის შემთხვევაში ამოსაცნობად წარდგენილ გამოსახულებათა რაოდენობის რამდენი პროცენტი ამოიცნეს A და B პირებმა.

*მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.*

შეკითხვებზე გადასვლა: [9](#) [10](#)



9. იმ შემთხვევაში, როცა წარდგენის დროის ხანგრძლივობა 0,9 წმ იყო, რამდენჯერ აღემატებოდა იმ გამოსახულებათა რაოდენობა, რომელთა ამოცნობა ვერ შეძლო B პირმა, იმ გამოსახულებათა რაოდენობას, რომელთა ამოცნობა ვერ შეძლო A პირმა?

- ა) 3-ჯერ;
- ბ) 4-ჯერ;
- გ) 5-ჯერ;
- დ) 6-ჯერ.

[დიაგრამის ნახვა](#)

10. წარდგენის დროის რომელი ხანგრძლივობის შემთხვევაშია A პირის მიერ ამოცნობილ გამოსახულებათა რაოდენობა 16-ით მეტი B პირის მიერ ამოცნობილ გამოსახულებათა რაოდენობაზე?

ა) 0,6 წმ;

ბ) 0,7 წმ;

გ) 0,8 წმ;

დ) 0,9 წმ.

[დიაგრამის ნახვა](#)

11. ნებისმიერი  $x$  და  $y \neq 0$  რიცხვებისთვის  $x * y = \frac{2x-y}{y}$ . რის ტოლია  $1 * (2 * 3)$ ?

ა) 3-ის;

ბ) 4-ის;

გ) 5-ის;

დ) 6-ის.

12. ჩამოთვლილთაგან რომლის კუბის ტოლი შეიძლება იყოს 9-ით დაბოლოებული ოთხნიშნა რიცხვი?

ა) 13-ის;

ბ) 19-ის;

გ) 23-ის;

დ) 29-ის.

13. ლიამ, სალომემ, თემურმა და ილიამ გამოთქვეს ვარაუდი კარადაში წიგნების რაოდენობის შესახებ:

ლია: კარადაში წიგნების რაოდენობა 8-ის ან 11-ის ტოლია.

სალომე: კარადაში წიგნების რაოდენობა 7-ზე მეტია.

თემური: კარადაში წიგნების რაოდენობა 10-ის ან 12-ის ტოლია.

ილია: კარადაში წიგნების რაოდენობა 13-ზე ნაკლებია.

მათგან სწორი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი გოგონას და ერთი ვაჟის ვარაუდი.

რამდენი წიგნი ყოფილა კარადაში?

ა) 12

ბ) 11

გ) 10

დ) 9



14. სიბრტყეზე მოცემულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემა. სიბრტყის  $K(4; 2)$  წერტილზე გავლებულია  $y$ -ღერძის პარალელური წრფე.  $A$  და  $B$  წერტილები სიმეტრიულია ამ წრფის მიმართ, ხოლო  $B$  და  $C$  წერტილები სიმეტრიულია  $x$ -ღერძის მიმართ. რის ტოლია  $C$  წერტილის კოორდინატთა ჯამი, თუ  $A$  წერტილის კოორდინატთა ჯამი 5-ის ტოლია?

ა)  $(-3)$ -ის;

ბ)  $(-1)$ -ის;

გ) 3-ის;

დ) 1-ის.

15. ნინომ კვირის დასაწყისში რამდენიმე კილოგრამი ვაშლი იყიდა, რაშიც სულ 10 ლარი გადაიხადა. კვირის ბოლოს ვაშლი 20%-ით იაფი ღირდა. ამიტომ ნინომ 30%-ით მეტი წონის ვაშლის ყიდვა გადაწყვიტა. რამდენი ლარის გადახდა მოუწევს ნინოს?

ა) 10,4-ის;

ბ) 10,6-ის;

გ) 10,8-ის;

დ) 11-ის.

16. ნინო, ანა, სოფიო და თამარი დები არიან. მათი საშუალო ასაკი ნინოს გარეშე 8 წელია, ანას გარეშე – 12 წელი, სოფიოს გარეშე – 13 წელი, ხოლო თამარის გარეშე – 15 წელი. დების საშუალო ასაკია:

- ა) 10 წელი;
- ბ) 11 წელი;
- გ) 12 წელი;
- დ) 13 წელი.

## მონაცემთა საკმარისობა

17. მართებულ ტოლობაში  $\frac{+1 * 3}{2 * 3}$  ერთნაირი სიმბოლოებით აღნიშნულია ერთნაირი ციფრები, ხოლო  $\blacksquare 2 6$  განსხვავებული სიმბოლოებით – განსხვავებული ციფრები.

მოცემულია ორი პირობა:

I. \* -ით აღნიშნული ციფრი კენტია.

II.  $\blacksquare$  -ით აღნიშნული ციფრი კენტია.

იმის გასარკვევად, თუ რომელი ციფრებია აღნიშნული \* და  $\blacksquare$  სიმბოლოებით:

- ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;
- ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;
- გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;
- დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;
- ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

18.  $a$  და  $b$  ნებისმიერი რიცხვებია.

მოცემულია ორი პირობა:

I.  $a > 2$  და  $b > 6$ .

II.  $a < 4$  და  $b < 3$ .

იმის გასარკვევად, მართებულია თუ არა უტოლობა  $ab < 12$  :

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

19. მართკუთხა პარალელეპიპედის ფუძე კვადრატია.

მოცემულია ორი პირობა:

I. მართკუთხა პარალელეპიპედის ფუძის პერიმეტრი 12 სმ-ის ტოლია.

II. მართკუთხა პარალელეპიპედის გვერდითი წახნაგის პერიმეტრი 14 სმ-ის ტოლია.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რის ტოლია მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

20.  $m$  ნატურალური რიცხვია.

მოცემულია ორი პირობა:

$$\text{I. } \frac{1}{10} < \frac{1}{m} < \frac{1}{4}.$$

II.  $m^2$  ლუწია.

იმის გასარკვევად, თუ რის ტოლია  $m$  :

- ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;
- ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;
- გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;
- დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;
- ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.

21. ქალაქის მერის არჩევნებში სულ 3 კანდიდატი იყრიდა კენჭს –  $A$ ,  $B$  და  $C$ . თითოეულმა ამომრჩეველმა ამ კანდიდატებიდან რომელიმეს მისცა ხმა, ამასთან – მხოლოდ ერთს.

მოცემულია ორი პირობა:

I.  $B$ -ს არჩევნებში 3-ჯერ მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, ვიდრე  $C$ -ს.

II.  $A$ -ს და  $C$ -ს არჩევნებში ტოლი რაოდენობის ამომრჩეველმა მისცა ხმა.

იმის გასარკვევად,  $A$ ,  $B$  და  $C$  კანდიდატებიდან რომელიმეს მისცა თუ არა ხმა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები არ არის საკმარისი.



22.  $n$ -ის რომელი ნატურალური მნიშვნელობისთვისაა  $\frac{3n+55}{n+2}$  გამოსახულების მნიშვნელობა ნატურალური რიცხვის ტოლი?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა - 2)

23. A და B პუნქტებიდან 12:00 სთ-ზე ერთმანეთის შესახვედრად ორი ველოსიპედისტი გამოვიდა. როგორც პირველი, ისე მეორე ველოსიპედისტი თანაბარი სიჩქარით მოძრაობდა. ისინი ერთმანეთს 12:40 სთ-ზე შეხვდნენ და შეუსვენებლივ განაგრძეს გზა. პირველი ველოსიპედისტი B პუნქტში 13:12 სთ-ზე ჩავიდა. რომელ საათზე ჩავიდა მეორე ველოსიპედისტი A პუნქტში?

პასუხი დაასაბუთეთ.


(მაქსიმალური ქულა – 3)

24. მართკუთხედის ორი გვერდის სიგრძეთა ჯამი 7 სმ-ის ტოლია, ხოლო სამი გვერდის სიგრძეთა ჯამი – 9 სმ-ის. რის ტოლია მართკუთხედის თითოეული გვერდის სიგრძე?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

25. წრიულ დიაგრამაზე მოცემულია კვირის დასაწყისში სასტუმროში მყოფი ტურისტების პროცენტული განაწილება ეროვნების მიხედვით. კვირის ბოლოსთვის სასტუმროში მყოფი ესპანელი ტურისტების რაოდენობა 2,5-ჯერ შემცირდა, ფრანგი ტურისტებისა 1,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო გერმანელებისა – არ შეცვლილა. სხვა ეროვნების ტურისტები კვირის განმავლობაში სასტუმროში არ შემოსულან. ტურისტების საერთო რაოდენობის რა ნაწილს შეადგენდა კვირის ბოლოს სასტუმროში გერმანელი ტურისტების რაოდენობა?



პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

**26.** მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის აუზის წყლით შევსება ორი მილითაა შესაძლებელი. მხოლოდ პირველი მილით აუზში წყლის დონე ყოველ საათში 30 სმ-ით იმატებს, მხოლოდ მეორე მილით – 20 სმ-ით. რამდენ ხანში აივსება აუზი მხოლოდ პირველი მილით, თუ ორივე მილით აუზის ასავსებად 4 საათია საჭირო?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

27. მეექვსეკლასელ მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I.  $(28028 - 280) : 14$ ;


II.  $(340 \cdot 68) : 17$ .

2) რვაასი ათას ექვსას ცხრა რამდენითაა მეტი ოთხას ჩვიდმეტზე?

3) იპოვეთ  $x$ , თუ  $x \cdot \frac{4}{9} \cdot \frac{5}{7} = \frac{28}{9}$ .

4) მართკუთხედს, რომლის გვერდების სიგრძეებია 16 სმ და 15 სმ, ჩამოაჭრეს ოთხი კვადრატი, რომელთაგან თითოეულის გვერდის სიგრძეა 6 სმ (იხ. ნახაზი). რის ტოლია მართკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი?

5) სასტუმროში მხოლოდ 1-ადგილიანი და 3-ადგილიანი ნომრებია – სულ 38 ნომერი. რამდენი 1-ადგილიანი ნომერია ამ სასტუმროში, თუ ადგილების საერთო რაოდენობა 86-ის ტოლია?



მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I.  $(28028 - 280) : 14 = 28028 : 14 - 280 : 14 = 202 - 20 = 182$

II.  $(340 \cdot 68) : 17 = (340 : 17) \cdot (68 : 17) = 20 \cdot 4 = 80$

2)  $609 - 417 = 192$ . მეტია 800192-ით.

3)  $x = \frac{28}{9} : \frac{4}{9} \cdot \frac{5}{7} = \frac{28}{9} \cdot \frac{9}{4} \cdot \frac{5}{7} = 7 \cdot \frac{5}{7} = 5$

4)  $15 - 12 = 3$ ,  $16 - 12 = 4$ , დარჩენილი ნაწილის ფართობია

$3 \cdot 16 + 4 \cdot 15 + 3 \cdot 4 = 48 + 60 + 12 = 120$  (კვ. სმ).

5) თუ ყველა 3-ადგილიანი იქნებოდა:  $38 \cdot 3 = 104$  ადგილი,

ამიტომ 1-ადგილიანია  $(104 - 86) : 2 = 9$  ნომერი.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

(მაქსიმალური ქულა - 4)

# აკადემიური უნარები



## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

*ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.*

ადრეული ასაკის ბავშვების მიერ სოციალური ნორმების ათვისების პროცესი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ობიექტია. რამდენიმე ათეული წლის წინ მიაჩნდათ, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვები უკრიტიკოდ იღებენ უფროსების მიერ შეთავაზებულ ნორმებს, როგორც ურყევ ჭეშმარიტებას; ამ ასაკის ბავშვებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ ავტორიტეტული უფროსების უფლებაა სამართლიანობის დადგენა და მხოლოდ ქცევის შედეგით ფასდება ამ ქცევის მორალურობის ხარისხი. თანამედროვე კვლევების მიხედვით კი, უკვე სკოლამდელ ასაკში აცნობიერებენ ბავშვები ჩვენი სოციალური ცხოვრების ნორმებისა და წესების მრავალფეროვნებას.

ერთ-ერთ თანამედროვე ექსპერიმენტში 4-7 წლის ბავშვებს აყურებინეს ვიდეო, რომელშიც სამი ბავშვი თამაშობდა. ერთ შემთხვევაში თამაშის წესს განსაზღვრავდა ერთ-ერთი ბავშვი, ხოლო მეორე შემთხვევაში – უფროსი ან მოთამაშეთა ჯგუფი ერთობლივად. ვიდეოჩვენების ბოლოს ბავშვებს ეკითხებოდნენ, არის თუ არა შესაძლებელი მოცემულ შემთხვევებში წესების შეცვლა. როცა თამაშის წესს ერთი ბავშვი ან უფროსი განსაზღვრავდა, ბავშვები ფიქრობდნენ, რომ ამ წესის შეცვლა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც ის შემოიღო. როცა წესი განისაზღვრებოდა ჯგუფური შეთანხმებით, 6-7 წლის ასაკის ბავშვები ფიქრობდნენ, რომ ამ წესის შეცვლის უფლება არავის აქვს, მაშინ, როცა 4-5 წლის ასაკის ბავშვებს მიაჩნდათ, რომ ნებისმიერ ბავშვს შეუძლია ამ წესის შეცვლა.

შეკითხვებზე გადასვლა: [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#)

4-7 წლის ბავშვები ასევე აცნობიერებენ, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი წესები. კერძოდ, ისინი ხვდებიან, რომ მორალური ნორმები განსხვავდება მარტივი სოციალური შეთანხმებებისგან. ერთ-ერთ კვლევაში დაწყებითი სკოლის ბავშვებს სთავაზობდნენ სხვადასხვაგვარ წესებს, მაგალითად, როგორცაა - სკოლაში ფორმის ტარება, რაც ტიპური სოციალური შეთანხმებაა და, ასევე, წესს იმის შესახებ, რომ მოსწავლეები ერთმანეთს არ უნდა ეჩხუბებოდნენ, რაც ტიპური მორალური ნორმაა. შემდეგ ბავშვებს ეკითხებოდნენ, სავალდებულოა თუ არა ამ წესების დაცვა იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ მათი დაცვა არ არის საჭირო ან უნდა ვრცელდებოდეს თუ არა ეს წესები სხვა ქვეყნის ბავშვებზეც. ბავშვები უშვებდნენ პირველი წესის (სოციალური შეთანხმების) შეცვლის შესაძლებლობას, მაგრამ არ თმობდნენ მორალური ნორმის დაცვის აუცილებლობას.

ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ ბრმად მიიღონ უფროსების მიერ შეთავაზებული ნორმები, ადრეული ასაკის ბავშვები შეიძლება აქტიურად მონაწილეობდნენ წესების ფორმულირებასა თუ ინტერპრეტაციაში. შესაბამისად, სოციალური სამყაროს წესების შესწავლის პროცესი - ეს არ არის ქუჩა, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობაა და მხოლოდ უფროსები ასწავლიან ბავშვებს.

შეკითხვებზე გადასვლა: [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#)

28. პირველ აბზაცში წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, 7 წლამდე ასაკის ბავშვები უკრიტიკოდ იღებენ უფროსების მიერ შეთავაზებულ ნორმებს, როგორც ურყევ ჭეშმარიტებას. რა მიმართებაა ამ მოსაზრებასა და მესამე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგს შორის?

მესამე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგი

- ა) განამტკიცებს ამ მოსაზრებას;
- ბ) ეჭვქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას;
- გ) არ გამოდგება ამ მოსაზრების არც განმამტკიცებლად, არც გასაბათილებლად;
- დ) შეიძლება განვიხილოთ ამ მოსაზრების საილუსტრაციო მაგალითად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

29. მეორე აზნაცში აღწერილი ექსპერიმენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 4-7 წლის ბავშვები:

- ა) მხოლოდ თამაშის წესების ავტორის უფლებად მიიჩნევენ წესების შეცვლას;
- ბ) არ განიხილავენ იმ წესების შეცვლის შესაძლებლობას, რომლებიც უფროსების მიერაა შემუშავებული;
- გ) ჯგუფის მიერ შემუშავებულ წესებს განიხილავენ, როგორც ურყევ ჭეშმარიტებას;
- დ) განიხილავენ წესების შეცვლის შესაძლებლობას იმის მიხედვით, თუ ვის მიერაა ისინი შემუშავებული.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

30. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდის დაშვების საფუძველს გვადლევს მესამე აბზაცში აღწერილი კვლევის შედეგი?

4-7 წლის ბავშვები უკვე აცნობიერებენ, რომ:

- ა) არსებობს წესები, რომელთა ერთობლივი შემუშავება და, შესაბამისად, დაცვა სავალდებულოა;
- ბ) არსებობს წესები, რომელთა დაცვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი შეცვლა ცალკეული ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული;
- გ) მასწავლებელს არ აქვს უფლება, გადაწყვიტოს, რომელი წესი უნდა დაიცვან ბავშვებმა - მორალური ნორმა თუ სოციალური შეთანხმება;
- დ) მათ თავად აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, რომელი წესის დაცვაა მნიშვნელოვანი - მორალური ნორმისა თუ სოციალური შეთანხმების.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

**31.** მორალური განვითარების შესასწავლ ერთ-ერთ კლასიკურ ექსპერიმენტში ადრეული ასაკის ბავშვებს აჩვენებდნენ ორ ფილმს. ერთ ფილმში ასახული იყო ბავშვი, რომელიც შემთხვევით დაეჯახა მაგიდას და გაუტყდა რამდენიმე ჭიქა, მეორე ფილმში კი ბავშვი, რომელმაც განზრახ გატეხა ჭიქა. გამოკითხულ ბავშვთა უმრავლესობა შეკითხვაზე, თუ რომელი ბავშვი მოიქცა უფრო ცუდად, პასუხობდა, რომ პირველი, რადგან მან უფრო მეტი ჭიქა გატეხა.

რომელ აზრაცში მოცემულ ინფორმაციას ეხმიანება აღწერილი ექსპერიმენტის შედეგი?

- ა) პირველში;
- ბ) მეორეში;
- გ) მესამეში;
- დ) მეოთხეში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

**32.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ბოლო აბზაცში მოცემული წინადადების - ეს არ არის ქუჩა, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობაა - მართებული ინტერპრეტაცია?

- ა) ბავშვები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თამაშის წესებს სოციალურ გარემოში;
- ბ) უფროსები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბავშვებისთვის წესების შეთავაზების პროცესს;
- გ) ბავშვების მიერ სოციალური სამყაროს წესების შესწავლის პროცესი მეტად შედეგიანია, თუკი ის მრავალმხრივია;
- დ) უფროსების მიერ შეთავაზებული წესების ათვისება ბავშვების მიერ ამ წესების აქტიური გააზრების პროცესია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)



### 33. ანალიტიკური წერა

მოსწავლეების დიალოგი სოციალური ქსელიდან:

- „გო, ხომ ამოხსენი დღეს ის ამოცანა, რატომ გასაყვედურობდა მასწავლებელი, ვერ გავიგე, რამე შეცდომა დაუშვი?
- არა, სხვა გზით ამოვხსენი და პასუხიც სწორი მივიღე, მაგრამ იმაზე მომედავა, მე როგორც გასწავლეთ, ისე რატომ არ ამოხსენიო.
- შენც რას ორიგინალობ, ამოხსენი იმ გზით, რომელიც გვასწავლა. ☺“

ნაწყვეტი სტატიიდან:

„სამყაროს შესამეცნებლად, მისი ბუნების ამოსახსნელად თუ მხოლოდ ერთ ინსტრუმენტს გამოვიყენებთ, შედეგიც არასრული, ცალმხრივი იქნება. ზოგადად, ნებისმიერი საკითხის სხვადასხვა რაკურსით გააზრება, ერთი მხრივ, შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, სრული სურათის მიღების ალბათობას ზრდის.“

გაიაზრეთ მოსწავლეების დიალოგი, ნაწყვეტი სტატიიდან და იმსჯელეთ:

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ საილუსტრაციო მასალაში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს პრობლემა სწავლა-სწავლების პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზად? განაზოგადეთ სათქმელი.

*მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.  
თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

*(მაქსიმალური ქულა 9)*